

რეგისტრატორისთვის დადგენილი მოთხოვნები

1. განმცხადებელი, რომელსაც სურს გახდეს რეგისტრატორი („განმცხადებელი“), უნდა წარმოადგენდეს სათანადოდ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.
2. **განმცხადებელმა** უნდა წარუდგინოს **ადმინისტრატორს** ინფორმაცია, რომელიც **ადმინისტრატორის** შეფასებით, გონივრულობის ფარგლებში საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ **განმცხადებელს რეგისტრატორის** ფუნქციების შესრულების დანაშაულის მომენტისთვის აქვს შესაძლებლობა:
 - a) უზრუნველყოს **დომენური სახელის** დარეგისტრირების მსურველის უსაფრთხო და ავტორიზებული წვდომა სარეგისტრაციო პლატფორმაზე;
 - b) განახორციელოს მძლავრი და მასშტაბური სარეგისტრაციო ოპერაციები;
 - c) დროულად უზრუნველყოს **რეგისტრანტის** მოთხოვნის დაკმაყოფილება **დომენური სახელის** სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ;
 - d) შეინახოს სანდო და გამოყენებადი ყოველდღიური მონაცემები, უზრუნველყოს **რეგისტრანტის** სარეგისტრაციო მონაცემების დაარქივება და ბექაუპირება;
 - e) შეინახოს ყველა ტრანზაქციის, მიმოწერის და კომუნიკაციის ელექტრონული ასლი, სულ მცირე სარეგისტრაციო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან/და სარეგისტრაციო ხელშეკრულების ვადის გასვლიდან/შენწყვეტიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში;
 - f) უზრუნველყოს ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება და შეძლოს აღმოფხვრას **რეგისტრანტის** საქმიანობის შეფერხება, რომელიც გამოწვეულია განზრახვით ან გაუფრთხილებლობით;
 - g) უზრუნველყოს **ადმინისტრატორთან** გაფორმებული **სარეგისტრაციო ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
 - h) ჰყავდეს თანამშრომლები, რომლებსაც ექნებათ სათანადო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ წარმართონ **რეგისტრატორის** საქმიანობა. **განმცხადებელს** უნდა შეეძლოს დაასაქმოს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური თანამშრომლები რეგისტრაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, განსაახლებლად და მომხმარებლის მოთხოვნის მოცულობის გონივრულობის ფარგლებში დასაკმაყოფილებლად;
 - i) ჰქონდეს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება **დომენური სახელების** ონლაინ რეგისტრაცია და რეგისტრირებული **დომენური სახელების** რეესტრის წარმოება. ასეთი ვებ-გვერდის **დომენური სახელის** მფლობელს უნდა წარმოადგენდეს **განმცხადებელი**. ვებ-გვერდი უნდა იძლეოდეს ონლაინ გადახდების განხორციელების საშუალებას, სულ მცირე ვიზა და მასტერ-ქარდ ბარათის მეშვეობით. ვებ-გვერდზე უნდა იყოს გამოქვეყნებული ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა და აუცილებელია რეგისტრაციის

პროცესში. ვებ-გვერდის ენა უნდა იყოს ქართული და ინგლისური. ყველა ლინკი ვებ-გვერდზე უნდა მუშაობდეს გამართულად;

- j) უზრუნველყოს ვებ-გვერდის, ბილინგის და დომენური სახელების რეგისტრაციის პლატფორმის 99%-იანი ხელმისაწვდომობა და შეუფერხებელი მუშაობა;
 - k) ჰქონდეს ადმინისტრატორის სისტემასთან EPP პროტოკოლით მუშაობის შესაძლებლობა და უნდა შეეძლოს სარეგისტრაციო მომსახურების განწევა N2 დანართით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად.
3. **განმცხადებელმა**, რომელსაც სურს გახდეს რეგისტრატორი და წარადგენს საამისოდ სარეგისტრაციო განცხადებას უნდა გადაიხადოს ერთჯერადი მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. მოსაკრებელი დაწესებულია განაცხადის განსახილველად და არ ექვემდებარება დაბრუნებას, მიუხედავად განაცხადის დადასტურებისა ან უარის თქმისა.
4. **განმცხადებელს** უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს სადეპოზიტო შენატანი 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

მხარეთა ხელმოწერები:

რეგისტრატორის სახელით

ადმინისტრატორის სახელით
